ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 19 ნოემბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 235

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“, 43-ე მუხლის მე-3 პუქტის „ა“ ქვეპუნქტის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული შ.პ.ს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი საცხენოსნო სპორტული სკოლა „მარულა“-ს ფუნქციონირების, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების, სამსახურის საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების, მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენის, აგრეთვე მათი სახსრების, ქონებრივი ღირებულების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერების დადგენის მიზნით, დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიას მოახდინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი საცხენოსნო სპორტული სკოლა „მარულა“-ს საქმიანობის შესწავლა აღნიშნული მიმართულებებით.

2. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია უფლებამოსილია შემოწმების პროცესში კომისიაში მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები.

3. შემოწმების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 30 დეკემბრამდე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer